პ რ ო ე ქ ტ ი

ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2021 წლის ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 19 581,4 ათ. ლარი, ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 723,0 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 22 304,4 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 19 581,4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 20 982,3 ათ. ლარი (107%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 500,0 ათ. ლარი - ფაქტი 558,9 ათ. ლარი (112%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 5 007,7 ათ. ლარი - ფაქტი 5 155,3 ათ. ლარი (103%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 13 800,7 ათ. ლარი - ფაქტი 14 162,7 ათ. ლარი (103%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 60,8 ათ. ლარი (152%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 150,0 ათ. ლარი - ფაქტი 165,1 ათ. ლარი (110%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 10,4 ათ. ლარი გეგმა კი შეადგენდა 10,0 ათ.ლარს; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,6 ათ. ლარი (64%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 64,0 ათ. ლარი (160%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე გეგმა შეადგენდა 8,0 ათ. ლარს - ფაქტი 181,1 ლარს (2265%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 0,0 ათ. ლარი (0%); არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზების) გეგმა 5,0 ათ. ლარი, შემოვიდა 614,4 ათ. ლარი(12288%).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 22 304,420 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 17 431,5 ათ. ლარი (78%) აქედან:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების გეგმამ შადგინა 2 156,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 940,1 ათ. ლარი (90%);
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 17 598,8 ათ. ლარი - ფაქტი 13 206,9 ათ. ლარი (75%);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმა 400,1 ათ. ლარი - ფაქტი 398,4 ათ. ლარი (100%);
- განათლების დაფინანსების გეგმა 1 045,3 ათ. ლარი - ფაქტი 914,8 ათ. ლარი (88%);
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 753,8 ათ. ლარი - ფაქტი 659,0 ათ. ლარი (87%).
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 350,4 ათ. ლარი - ფაქტი 312,4 ათ. ლარი (89%).

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გახარჯული იქნა 98 198 ლარი, აქედან: მრავალშვილიანი დედებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენასთან დაკავშირებით 626 ლარი, სოფელ ბაჯიხევში მეწყერისაგან დაზიანებული მისასვლელი ალტერნატიული გზის მოწყობის სამუშაოები 12 211ლარი, გახარჯული სპორტსმენთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით 2 800 ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის (ხანდაზმულები, მარტოხელები, შშმ პირები, მრავალშვილიანი 4 და მეტი ბავშვი) სასაჩუქრე კალათების შეძენა 2 625 ლარი, სოფელ დიდ ღებში და სოფელ სორში მდ. რიონისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო და კალაპოტის ფორმირების სამუშაოები 41 763 ლარი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ბიჭიკო კერესელიძისათვის სასურსათო ნაკრების შეძენა 158 ლარი, სოფელ ჟაშქვაში დაზიანებული წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოსი 7 058 ლარი, სოფელ ნიკორწმინდაში ჩატარებული საცხენოსნო შეჯიბრება მარულასა და დოღში "რაჭის დიდ პრიზზე" ორგანიზატორობისათვის ფინანსური დახმარება 1 500 ლარი, სოფელ გომში დაზიანებული წყლის სისტემის რეაბილიტაცია 4 024 ლარი, ავტომობილი შკოდა სკაუტის (AA-372-CC) სარემონტო სამუშაოები 3 103 ლარი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის შიდა კოსმეტიკური რემონტი 8 287 ლარი, კამპანია „პანდემია, მსოფლიო და ისტორია“ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით 2 500 ლარი, სოფელ ღარში ხანდაზმულობის გამო დაზიანებული წყლის მილის რეაბილიტაცია 1

992 ლარი და სოფელ გლოლაში სავარგულებთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4 840 ლარი, ონის მუნიციპალიტეტში გ. მაისურაძის ქუჩა N1-ში მცხოვრებ პირთა მიერ გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ღირებულებით 741 ლარი და ონის მუნიციპალიტეტში სოფლის შიდა გზების წმენდის სამუშაოები 3 971 ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფარგლებში სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, გაცემულია საინვესტიციო სესხის ძირი თანხა 55 600 ლარი და საინვესტიციო სესხის პროცენტი 28 752 ლარის ოდენობით. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის თანხის დაფარვა დაიწყო 2018 წლის აპრილში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. დარჩენილი სასესხო ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრისათვის ჯამში შეადგენს დაახლოებით 307 286 ლარს.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 6 273,9 ლარი.

შემსრულებელი: /ვალერიან გობეჯიშვილი/

/თინათინ ბროლაშვილი/